

მე-15 მოდული საგამოცდო ტესტები  
(ნიმუში)

1. 42 წლის მამაკაცს აღენიშნება დადლილობა და თავის ტკივილი. მომდევნო დღეს გაეღვიძა მაღალი სიცხით და მტკივნეული შეტევებით გულმკერდის მიდამოში. დაისვა ბრონქოლმის დაავადების (პლევროდინი) დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან რომელი ვირუსია ამ დაავადების გამომწვევი?

1. პოლიოვირუსი
2. A კოკსაკის ვირუსი
3. B კოკსაკის ვირუსი
4. ECHO

2. 5 თვის გოგონა იანვრის თვეში მიიყვანეს გადაუდებელი დახმარების ცენტრში წყლიანი დიარეით და ღებინებით. ქონდა დაბალი სიცხე და აღენიშნებოდა დეჰიდრატაციის ნიშნები. საექმო აგენტი, რომელიც არის ამ კლინიკის გამომწვევი, არის იკოსაედრული კაფსიდის მქონე ვირუსი ორმაგი კაფსიდით და ორბაფიანი რნმ-ით. ჩამოთვლილთაგან რომელია ამ ინფექციის გადაცემის მექანიზმი?

1. ტრანსმისიული
2. აეროგენული
3. ფეკალურ-ორალური
4. ვერტიკალური

3. 6 თვის ბავშვს 2 დღეა აქვს ტკივილები მუცლის არეში, დიარეა სისხლის გარეშე და ღებინება. განავლის ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევისას გამოიყო მხოლოდ ნაწლავების ნორმოფლორის ბაქტერიები. ჩამოთვლილთაგან რომელი ვირუსია ამ ასაკის ბავშვებში ზემოაღნიშნული კლინიკის ყველაზე ხშირი გამომწვევი?

1. A კოკსაკის ვირუსი
2. ორბივირუსი
3. როტავირუსი
4. B კოკსაკის ვირუსი

4. 74 წლის მამაკაცმა მიმართა კლინიკას სისუსტით, ცხელებით და ყელის ტკივილით. ცოტა ხანში დაეწყო ღებინება და ამის შემდეგ გონების დაბინდვა. სავარაუდოდ დაისვა ცხენების დასავლეთის ენცეფალიტის დიაგნოზი. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლის ლიკვიდაციითაა შესაძლებელი ზემოთ აღნიშნული დავადების კონტროლი?

1. ცხენების
2. ტკიების
3. კოლოების
4. ფრინველების

5. 5 წლის ბიჭს, რომელიც დაბრუნდა ტროპიკებიდან აღენიშნება გრიპისმაგვარი სიმპტომები. დაახლოებით 4 დღის შემდეგ განუვითარდა სიყვითლე და ლებინება. ეჭვი იქნა მიტანილი ყვითელი ყვითელი ცხელების ვირუსზე. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი შეესაბამება ამ ვირუსს?

1. გარსიანი, ერთმაფიანი -რნმ-ის შემცველი ვირუსია
2. გარსიანი, ერთმაფიანი, სეგმენტირებული -რნმ-ის შემცველი ვირუსია
3. გარსიანი, ერთმაფიანი +რნმ-ის შემცველი ვირუსია
4. უაგრო, ორმაფიანი, სეგმენტირებული რნმ ვირუსია ორმაგი კაფსიდით

6. დეკემბრის თვეში დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს დაეწყო A-ტიპის გრიპის ვირუსით გამოწვეული სიმპტომები: ყელის ტკივილი, სურდო, ხველა, სიცხე, თავის ტკივილი, მიაღვია და სისუსტე. მასწავლებლებს რომელბის არ იყვნენ ვაქცინირებულები საპროფილაქტიკოდ დაენიშნათ რემანტადინი. ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება ამ პრეპარატის მოქმედებას?

1. ბლოკავს M2-ცილას
2. ბლოკავს F-ცილას
3. ბლოკავს N ნეირამინიდაზას
4. ბლოკავს H ჰემაგლუტინინს

7. 5 წლის ბიჭს ერთი კვირაა აღენიშნებოდა მომატებული ტემპერატურა, თავის ტკივილი, სისუსტე, გადიდებული ყურისქვეშა და სანერწყვე ჯირკვლები. გადაუდებელი დახმარების ცენტრში მიყვანისას აღენიშნებოდა მენინგიალური მოვლენები. სავარაუდოდ დაისვა ეპიდემიური პაროტიტის (ყბაყრუას) დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან რომელ ოჯახში შედის სავარაუდო ვირუსი.

1. ორთომიქსოვირუსების
2. პარამიქსოვირუსების
3. პარვოვირუსების
4. პიკორნავირუსების

8. 25 წლის ქალს აქვს პაპულოზური გამონაყარი მთელ სხეულზე, ხელის და ფეხის გულებზე. მან აღნიშნა, რომ რამოდენიმე კვირის წინ ქონდა წყლული სასქესო ორგანოზე, გადიდებული ქონდა ლიმფური კვანძები. რომელ დაავადებაზე შეიძლება მიიტანოთ ეჭვი?

1. ლეპტოსპიროზი
2. ათაშანგი
3. ეპიდემიური შებრუნებიტი ტიფი
4. ენდემური შებრუნებითი ტიფი

9. თქვენი პაციენტია 25 წლის მამაკაცი ურეთრიტით. პაციენტს აღენიშნება ქავილი, გამონადენი, ტკივილი მოშარდვის დროს. კლინიკა ძალიან გავს გონორეას, მაგრამ ბაქტერიოსკოპული გამოკვლევა გონოკოკებზე უარყოფითი იყო. ჩამოთვლილთაგან რომელი იწვევს ე.წ. “არაგონოკოკურ ურეთრიტს”?

1. C. difficile
2. C. pneumoniae
3. C. psittaci
4. C. trachomatis

10. პაციენტს აღენიშნება პნევმონია, სხეულის ტემპერატურა ოდნავ მომატებულია. ერთ-ერთი პირველადი სიმპტომი სინუსიტი იყო. მიკრობიოლოგიური გამოკვლევით დაადგინდა, რომ პნევმონიის გამომწვევია *C.pneumoniae*. ჩამოთვლილთაგან ანტიბიოტიკის რომელი ჯგუფია ყველაზე ეფექტური ამ მიკრობით გამოწვეული დაავადების სამკურნალოდ?

1. ტეტრაციკლინის
2. რიმფამიცილის
3. ბეტალაქტამიდების
4. პოლიენური